Open Government Partnership

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში თბილისის 2017 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

ღია მმართველობის პრინციპების რეალურ და საზოგადოებისთვის ხელშესახებ მეაქანიზმებად ქცევა თბილისის მთავრობისთვის წარმოადგენს მმართველობის ხარისხის, მისი ეფექტურობისა და დემოკრატიულობის ამაღლების უმთავრეს პრიორიტეტს, რაც პირდაპირ აისახება მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

თბილისის ადგილობრივ მმართველობით კონტექსტს ქმნის ბოლო წლებში დაწყებული ის აქტივობები და ცალკეული ინიციატივები, რომლებიც ეფუძებიან ღია მმართველობის პრინციპებს თუმცა ერთიანი სისტემური ფონის არ არსებობის გამო ვერ ხდება მათი ეფექტის მხარდაჭერა და გაძლიერება, უფრო მეტიც ისინი არსებითად კარგავენ ეფექტურობის ხარისხს (მაგ.: სითი ფორუმი მოქალაქეთა ინიციატივებისთვის, რომლის გამოყენებაც ვერ ხდება საკმარისად შედეგზე ორიენტირებულად, ვინაიდან არ შეიცავს სათანადო მექანიზმებს; მონაწილეობითი ბიუჯეტირების მცდელობა, რომელის ფორმაც სათანადო მხარდაჭერის არ არსებობის გამო მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა შეავსო და სხვა). რაც შეეხება თბილისის ადგილობრივ სამოქალაქო კონტექსტს, არ არსებობს ცნობადობა მერიის მიერ შექმნილი მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის, სერვისის და ზოგადად მერიის წინაშე არსებული გამოწვევების რეალურ შინაარსზე. მერიის ვებ-გვედრი და ცალკეული აქტივობები ვერ უზრუნველყოფს საჭირო დიალოგის სათანადო წარმოებას, ვინაიდან არ არსებობს ამ დიალოგის წარმოების ერთიანი, მარტივი და მასობრივი ეფექტის მქონე სისტემა.

არსებული ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე თბილისის მთავრობამ რეფორმათა პრიორიტეტად დასახა მოქალაქეთა ინფორმირებულობის, მათი ჩართულობის, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველმყოფი ერთიანი სისტემის შექმნა. სისტემა მოიცავს ინსტიტუციურ, ელექტრონულ, პროცედურულ-სამართლებრივ ბლოკებს, რომლებიც არსებულ საკანონდებლო მოთხოვნებთან თუ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში არსებითად ზრდიან ღია მმართველობის პრინციპების ეფექტურ მექანიზმებად ქცევის ხარისხს და წარმატებით დანერგვის შემთხვევაში ქმნიან პირველად პოტენციალს გარკვეული დროის პერიოდში არა მხოლოდ რაოდენობრივად ან ხარისხობრივად, არამედ თვისობრივად შეცვალონ მმართველობითი პროცესები თბილისში. აღნიშნული ასევე შექმნის ერთიან მხარდამჭერ და ეფექტის გამაძლიერებელ სისტემას არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ სამომავლო ცალკეული ინოვაციებისთვისაც.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ღია მმართველობის პარტნიორობის საპილოტე პროგრამის ფარგლებში თბილისის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შემდგომი მონიტორინგის მიზნით 2017 წლის მაისის ბოლოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის 10 წევრი წარმოადგენს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას, ასევე (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროგრამას, „ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში"

პროგრამასა და „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციას“; სამუშაო ჯგუფში ასევე შედის ღია მმართველობა საქართველოს 3 კოორდინატორი და თბილისის მერიის სისტემის 7 წარმომადგენელი.

ღია მმართველობის პარტნიორობის საპილოტე პროგრამის ფარგლებში თბილისის 2017 წლის გეგმის შემუშავების პროცესების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ამ პროცესებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შესაბამისი ვებ-გვერდი: http://ogp.tbilisi.gov.ge/ .

2016 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის პირველადი კონსულტაციები რამდენიმე პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო'', „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი'' და სხვა), ღია მმართველობა საქართველოს კოორდინატორებთან და თბილისის მერიის სისტემაში შემავალ ერთეულებთან. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კონსულტაციებში მონაწილეობდა მერიის, იუსტიციის სამინისტროსა და 8 არასახელისუფლები ორგანიზაციის წარმომომადგენელი.

დამატებით დაორგანიზდა 11 შეხვედრა სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, პროფესიისა და ინტერესის მქონე ჯგუფებთან, რომელთა შორის იყვნენ სტუდენტები, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, თბილისის ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მშობლები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თვამჯდომარეები, საზოგადოებრივი საბჭოების წევრები, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა. მთლიანობაში უშუალო კონსულტაცია გავმართეთ 240 ადამიანთან.

დამატებით ონლაინ ფორმატით სამოქმედო გეგმას გაეცნო სულ მცირე კიდევ --- ადამიანი, რომელთაგან მხოლოდ ---- მოგვაწოდა შენიშვნები და რეკომენდაციები წერილობით.

პროცესის განმავლობაში სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია რამდენჯერმე გადამუშავდა, ყველა ეტაპზე დაინტერესებულ პირებს ქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ სამოქმედო გეგმის არსებულ ვერსიას და წარედგინათ თავიანთი შენიშვნები. კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე ორიენტირებული მექანიზმები გავაერთიანედ 5 ძირითად ვალდებულებაში, რომლებიც წარმოდგენილია ქვევით.

ვალდებულება I:
ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი “SMART MAP”

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

Smart map ელ-პორტალის შექმნა ეფუძნება დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულ მაშტაბურ და რამდენიმე სხვა სპეციფიკურ გამოწვევას, რომლითაც ხასიათდება ადგილობრივი კონტექსტი.

მაგალითად, მერიაში შემოსული დავების არსებითად დიდი ნაწილი შეეხება სამშენებლო და მწვანე საფარის (ხის) ჭრის საკითხებს. ადგილი აქვს ამ თემების გამო საპროტესტო გამოსვლებსაც. მართალია კანონმდებლობა ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, მაგრამ ის არ შეიცავს რაიმე ეფექტურ მექანიზმს, რაც ფართო საზოგადოებამდე პროაქტიულად მიიტანდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაწყებული პროცესისა და აღნიშნული უფლების შესახებ ინფორმაციას. მართლაც, ფაქტობრივად აღნიშნული უფლების გამოყენებას მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტი ახერხებს. მშენებლობის ან/და ხის ჭრის ფაქტის წინაშე დამდგარი ადამიანები ცხადია მასიურად ასაჩივრებენ და აპროტესტებენ მას, მაშინაც კი როცა შესაძლოა არანაირ დარღვევას არ ქონდეს ადგილი.

აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მაგალითებმა მერიის წინაშე დააყენა საჭიროება თბილისელებსთვის შეგვექმნა მექანიზმი, რომლითაც ისინი მიირებენ ინფორმაციას მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და ზოგადად ქალაქის შესახებ, საწყის და ნებისმიერ სხვა ეტაპზე სამშენებლო, ხის ჭრის, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების თუ თბილისის კუთვნილი საინვესტიციო ობიექტების შესახებ. მომხმარებელთა ინფორმირებულობის კუთხით მნიშვნელოვანია ასევე ინფორმაციის, დამუშავებისა და მარტივი გამოყენებადობის მექანიზმები, რომელსაც შეიცავს პორტალი.

როგორც აღინიშნა დგას მოქალაქეებთან ეფექტური დიალოგის სისტემის შექმნისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის საჭიროება, ასევე ქალაქის პრობლემებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების უზრუნველმყოფი სისტემის ჩამოყალიბება. ამიტომ გავითვალისწინეთ შესაძლებლობა ადამიანებმა პორტალში საჯაროდ დააფიქსირონ ქალაქში არსებული ესა თუ ის პრობლემა და წარმართონ მსჯელობა, საჯაროდ წამოაყენონ და განიხილონ ქალაქისთვის სასარგებლო იდეები. თავის მხრივ, სისტემა უნდა ითვალისწინებს მერიის მხრიდან რეაგირების უზრუნველმყოფ რიგ ვალდებულებებს.

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, თბილისის მერიას ასევე სჭირდება Smart map ელ-პორტალი ერთიან სისტემაში, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს შეფასება დაგეგმილ პოექტებზე, აწარმოოს გამოკითხვები, საზოგადოებისგან მიიღოს შენიშვნები, დააიდენტიფიციროს არსებული საჭიროებები თუ პრობლემები და შესაბამისად დაგეგმოს როგორც მოკლე ისე გრძელვადიანი ქმედებები.

2. Smart map-ის ფუნქციონალის აღწერა

Smart map ელ-პორტალი შეიცავს თბილისის რუკას. ის ბაზისად იყენებს და ამრავალფეროვნებს თბილისის ინტერაქტიული რუკის მონაცემებს. კერძოდ ქმნის ოთხ დამატებით დამფარავ ზონას:
1. პირველი გვიჩვენებს სამშენებლო სტატუსს ნებისმიერ ეტაპზე, უკავშირდება არქიტექტურის

სამსახურის ბაზას და შეიცავს ძირითად მონაცემებს მშენებლობასთან დაკავშირებით; 2. მეორე გვაძლევს ინფორმაციას (მწვანე საფარის) ხის ჭრის სანებართვო ინფორმაციას; 3. მესამე შეიცავს ინფორმაციას დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების (ძველი ქუჩებისა და შენონების ერთიანი რეაბილიტაციის პროექტები, ხიდების გამაგრება-მშენებლობა, მასშტაბური საგზაო-ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვა ტერიტორიულად მაშტაბური ან/და ფუქციურად არსებითი კეთილმოწყობითი პროექტების) შესახებ; 4. მეოთხეში ინტეგრირებულ თბილისის ქონების რუკაზე, დაიტანება ინფორმაცია თბილისის კუთვნილი საინვესტიციო ობიექტების შესახებ. მონაცემები განახლდება პერმანენტულად, გაწერილი წესის შესაბამისად. რუკას თემატური ნიშნით (ტერიტორიული ნიშნით ეს ვერ ხერხდება) ასევე მიებმება თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებები. რუკა დამფარავ ფენებზე შესაბამისად შეიცავს გამოსახულებებს, სამუშაო და სახაზავ ხელსაწყოებს.

პორტალის ფუნქციონალები:

- ინდივიდუალური პროფილის შექმნის შესაძლებლობა თბილისელებისთვის (ასევე იხ.: ვალდებულება №4). კომბინირებულად ან ალტერნატიულად თემატური და ტერიტორიული ნიშნით ინფორმაციის (მათ შორის, თემატურად, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებების) მოძიების შესაძლებლობა პორტალში, ასევე, ნებისმიერი კომბინაციით თემატიკაზე, დროის პერიოდზე, ტერიტორიაზე თუ სხვა კრიტერიუმებზე მიბმული სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა. ასევე, ინფორმაციის გამოწერას ამავე ნიშნებით, რაც გულისხმობს შერჩეული ტიპის ან/და ტერიტორიული მიმართების ყველა სიახლის, ცვლილების, გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის ავტომატურ მიღებას.

- თემის, ტერიტორიის მიხედვით მოქალაქეები (ყველგან ასევე მოიაზრება ორგანიზაციები) მონიშნავენ შაბლონურ ან მათ მიერ შედგენილ პრობლემას. შეეძლებათ დამოკიდებულების (პირობითად: დადებითი, უარყოფითი, პრობლემური) საჯაროდ დაფიქსირება და მიბმული ფორუმის ფორმატის გააქტიურება, სადაც იმსჯელებენ საკითხზე (ასევე, სხვა რეგისტრირებულ პირებს მოიწვევენ მსჯელობაში). (პირველი პუნქტის შესაბამისად, მოქალაქეები სხვის მიერ დაფიქსირებული პრობლემის გამოწერის შემთხვევაში ავტომატურად მიიღებენ ინფორმაციას ყველა პროცედურის, შეხვედრების და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ). მოქალაქეს შეუძლია, მისი ვინაობა და შენიშვნა არ გახადოს საჯარო და მიაწოდოს პირდაპირ ადმინისტრატორს.

- მოქალაქეს შეუძლია, ტერიტორიულად მონიშნოს ადგილზე არსებული პრობლემის გადაჭრის ან პროექტის იდეა (სკვერის მოწყობა-გამწვანება, ავტობუსის გაჩერება etc.), რომელიც საჯარო გახდება მხოლოდ პორტალის ადმინისტრატორის თანხმობის შემთხვევაში და დაექვემდებარება წინა პუნქტის ანალოგიურად საჯარო შეფასებას. ამ ფუნქციას იყენებს თვითმმართველიც მისი ინიციატივების დასატესტად.

- დაფიქსირებული მონიშვნები გამოჩნდება რუკაზე და ჩაირთვება ვადის მთვლელი, რომელსაც კანონისა და გონივრულობის პრინციპის შესაბამისად დადგენილ ვადაში დაერთვის ადმინისტრატორის მონიშვნა (პირობითად: შესრულებულია, გადამოწმდა და არ დადასტურდა, სცდება კომპეტენციას, პრობლემურია, ვადაში მონიშვნის არ განხორციელება იწვევს ავტომატურ

სტატუსს „უყურადრებო“). ასეთ შემთხვევაში მოქალაქეებისთვის გათვალისწინებულია კომენტირების შესაძლებლობა ზემოთ ხსენებული ფორუმის პრინციპით.

- დადგინდება დროის პერიოდულობა, რა პერიოდშიც იარსებებს ვალდებულება სტატისტიკურად და შინაარსობრივად გაანალიზდეს საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია, გამოქვეყნდეს ანალიზის შედეგები, სადაც მოკლედ და ზოგადად დასაბუთდება ძირითადი უარყოფითი გადაწყვეტილებების მიზეზები და წარმოჩინდება დადებითი გადაწყვეტილებებიც.

მოხდება დამხმარე სამართლებრივი ნორმების, მექანიზმების შემუშავება, დადგინდება smart map-ზე განახლებული ინფორმაციის მიბმისა და ბაზებად ფორმირების პირობები, მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვისა და პროგრამაში უშუალო მონაწილეობის პირობები (მარტო თბილისში რეგისტრირებულებს უნდა შეეძლოთ). დადგინდება საჯარო მოხელეთა მხრიდან არასათანადო რეაგირებისთვის პასუხისგების ფორმატი, გაიწერება პროცედურები და ვადები, შეიქმნება ინსტიტუციური მხარდაჭერის სისტემა.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

- არსებითად გაიზრდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა იმ მონაცემზე, რომელსაც შეიცავს smart map. ეს ინფორმაცია ავტომატურად, ინტერაქტიულ ფორმატში ხემისაწვდომი იქნება თბილისელებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ რა ხდება მათ საცხოვრებელ გარემოში. აღნიშნული ეფექტურ წინაპირობას შექმნის მათთვის მმართველობის პროცესში მონაწილეობისთვისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

- შეიქმნება შედეგზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული ჩართულობის სისტემა. თბილისის მერიას ექნება ვალდებულება დროული რეაგირება მოახდინოს პორტალში დაფიქსირებულ ქალაქის პრობლემებზე. ამით გაუმჯობესდება მერიის მომსახურება და შესაბამისად თბილისელების საცხოვრებელი გარემო პირობები.

- შეიქმნება სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაფუძნებას მოქალაქეთა ჩართულობაზე და მათ რეალურ საჭიროებებზე.

განხორციელების ვადა: 2017 წ.

ვალდებულება 1: ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი “smart map”	
შემსრულებელი დაწესებულება	ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, იურიდიული საქალაქო სამსახური, გამწვანების საქალაქო სამსახური, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური.
არსებული მდგომარეობის აღწერა	როგორც აღწერილობით ნაწილში აღინიშნა თბილისის მერიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის საკითხები ეფუძნება კანონის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც როგორც ვნახეთ ხშირად საზოგადოების ფართო ჯგუფების ინფორმირებულობასა და ჩართულობას ვერ უზრუნველყოფენ. თუმცა სათანადო სისტემების არ არსებობის გამო, ხშირად ამ მოთხოვნების შესრულებაც რთულდება და მარტივი საჯარო ინფორმაციის გაცემას ხშირად მაქსიმალური 10 დღის ვადა სჭირდება. მოქალაქეები პრობლემებს აფიქსირებენ ცხელი ხაზისა და

	განცხადებების საშუალებით, რომელთა ოფიციალური განხილვის ვადა ერთი თვეა. არ არსებობს ამ განცხადებების შინაარსობრივი ერთიანი ანალიზისა და მის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები. არ არსებობს მოქალაქეებთან უკუკავშირისა და შესრულებისთვის თვალყურის დევნების გაწერილი სისტემა. მოქალაქეთა ჩართულობა მმართველობის პროცესში ხდება არასისტემურად და არამასშტაბურად საზოგადოებრივი საბჭოებისა და იდეების კონკურსის ტიპის (მერიის მიერვე დაგეგმილი) ცალკეული პროექტებით.
მთავარი მიზანი	- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა ყველა იმ მონაცემზე, რომელსაც შეიცავს smart map. ინტერესის სფეროების მიხედვით საცხოვრებელი გარემოს შესახებ ინფორმაციის ავტომატურად, ინტერაქტიულ ფორმატში მიწოდება თბილისელებისთვის. ეფექტური წინაპირობის შექმნა მოქალაქისთვის მმართველობის პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისარებად. - შედეგზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული ჩართულობის სისტემის შექმნა, რომელიც ავალდებულებს თბილისის მერიას დროული რეაგირება მოახდინოს პორტალში დაფიქსირებულ ქალაქის პრობლემებზე. ამის მიზანია გააუმჯობესოს მერიის მომსახურება და შესაბამისად თბილისელების საცხოვრებელი გარემო პირობები. - სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაფუძნებას მოქალაქეთა ჩართულობაზე და მათ რეალურ საჭიროებებზე.

OGP პრინციპები	გამჭვირვალობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია ღიაობისა და ანგარიშვალდ ებულებისთვის
	✓	✓	✓	✓

განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
მრავალფუნქციური ვებ-პორტალის შექმნისთვის და ასევე არსებული მუნიციპალური ინტერაქტიული რუკის განახლებისა და მოდერნიზაციისთვის ზუსტი ტექნიკური დავალების და ვადების შეთანხმება	ახალი	იანვარი, 2017	თებერვალი, 2017
პორტალის ტექნიკური ფუნქციონალებისა და შინაარსობრივი ნაწილის შექმნა, შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებთან, პილოტირება, დანერგვა	ახალი	თებერვალი, 2017	დეკემბერი, 2017
- პორტალის ტექნიკური და შინაარსობრივი ნაწილის შექმნა	ახალი	მარტი, 2017	მაისი, 2017
- მოქალაქის პირადი გვერდის შექმნა და ინტეგრირება	ახალი	მაისი, 2017	სექტემბერი, 2017

რუკასთან - ინტერაქტიულ რუკაზე განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებზე მოქალაქის მიერ ინფორმაციის გამოწერის ფუნქია - სხვადასხვა პროექტების დამფარავ ფენებზე მოქალაქის (ასევე ადმინისტრატორის) მიერ პრობლემის დაფიქსირება-საჯარო განხილვის უზრუნველყოფის ფუნქცია - პორტალის პილოტირება და დანერგვა - ტრენინგის ჩატარება შესაბამის თანამშრომლებთან რუკის ფუნქციონირებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების მიზნით - სამართლებრივი კონსულტაციების წარმოება, სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება	ახალი	ივლისი, 2017	სექტემბერი, 2017
	ახალი	აგვისტო, 2017	ოქტომბერი, 2017
	ახალი	ოქტომბერი, 2017	დეკემბერი, 2017
		ოქტომბერი, 2017	ნოემბერი, 2017
	ახალი	თებერვალი, 2017	დეკემბერი, 2017
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	ახალი	ნოემბერი, 2017	დეკემბერი, 2017
ინდიკატორი	- შექმნილია და დანერგილია Smart map ელ-პორტალი, რომელიც შეიცავს აღწერილობაში ნახსენებ ახალ ან/და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის კუთხით გაუმჯობესებულ დამფარავ ზონებს. განხორციელებულია მხარდამჭერი მოქმედებები, ტრენინგები. - Smart map ელ-პორტალი სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. - აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად სამართლებრივად გაწერილია პორტალის ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები, რომელიც აუცილებლად გაწერს პროცედურებს, ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ნაწილს და მოხელეთა პასუხისმგებლობის/პასუხისგების ნაწილს. - ჩართულობის მექანიზმის შესახებ ცნობადომის ამაღლებისთვის წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (პორტალის შესახებ ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელება).		
რისკები და ვარაუდები	- შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში; - სისტემა დაიტესტება შეზღუდულ ვადებში, შესაბამისად პილოტირების პროცესი გაგრძელდება მომავალშიც. - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ადამიანური და ტექნიკური		

	ინფრასტრუქტურის რესურსი.

ვალდებულება II:
პეტიციის დანერგვა მერიის სისტემაში,
ელექტრონული პეტიცია

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციებთან საჯარო კონსულტაციების საწყის ეტაპზევე დადგა სამოქმედო გეგმაში პეტიციის ასახვის საკითხი. შესავალში აღწერილი ადგილობრივი სამოქალაქო და მმართველობითი კონტექსტი განაპირობებს მოთხოვნას სამოქალაქო-სახელისუფლო დიალოგის, მათ შორის სამოქალაქო ჩართულობის ისეთი ეფექტური მექანიზმის შექმნაზე, როგორიც ელექტრონული პეტიციაა. პეტიცია, პირველად შეიქმნება თბილისის მერიის, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში. პეტიციის შემოღებით, მიზნად ვისახავთ სახელისუფლო საქმიანობის პირდაპირ მიმართვას მოქალაქეების მიმდინარე საჭიროებებზე და პრობლემებზე.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

მერიის პორტალის ინტეგრირებული აპლიკაცია იქნება პეტიცია თბილისის მერს. მისი გამოწერა შესაძლებელი იქნება smart map-იდანაც (განსაკუთრებით ტერიტორიული კავშირის შემთხვევაში) და ცალკე გრაფიდანაც. აპლიკაცია პორტალზე რეგისტრირებულ თბილისის მოქალაქეებს საშუალებას მისცემს მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე შექმნაან პეტიცია, მოიწვიონ სხვა პირები პეტიციის ხელმოსაწერად.

სამართლებრივად გაიწერება პეტიციისთვის საჭირო ხელმომწერების რაოდენობასთან დაკავშირებული პირობები, ასევე მათი შეგროვების შემთხვევაში, მერიის ვალდებულება აუცილებლად განიხილოს მოქალაქეთა მოთხოვნა და დაუბრუნოს მათ დადებითი ან უარყოფითი განმარტებითი და დასაბუთებილი უკუკავშირი.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

მოქალაქე, რომელსაც აწუხებს კონკრეტული პრობლემა, მარტივი ელექტრონული ფორმატის დახმარებით ადვილად ახერხებს თანამოაზრეების მოძიებასა და ჩართვას, პეტიციის განხილვის სავალდებულოობის ფორმატი არსებითად ამაღლებს საზოგადოების ჩართულობის მოტივაციას, შედეგად ფორმირდება ზოგადი პრობლემა, მოთხოვნა.

მთლიანობაში ხდება მმართველობითი პროცესების დაჩქარება და საზოგადოებისთვის საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და სასარგებლო ეფექტის პოტენციალის ზრდა.

განხორციელების ვადა: 2017 წ.

ვალდებულება 5: პეტიციის დანერგვა მერიის სისტემაში, ელექტრონული პეტიცია				
შემსრულებელი დაწესებულება	ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური.			
არსებული მდგომარეობის აღწერა	მსგავსი მექანიზმი თბილისის მერიისთვის არ არის გაწერილი, ის კანონით დადგენილია თბილისის საკრებულოსთვის მხოლოდ საკრებულოს ფუნქციების ფარგლებში. ამ უკანასკნელს არ გააჩნია ელექტრონული ფორმატი ან უკუკავშირის რაიმე სპეციალური მექანიზმი.			
მთავარი მიზანი	საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების მექანიზმით გამყარებული დამატებითი პარტიციპაციული მექანიზმების შექმნა, რომლის გამოყენების სიმარტივესა და ეფექტურობას განაპირობებს ელექტრონული ფორმატი. მთავარი მიზანია, მოქალაქეს შეეძლოს ელექტრონული ფორმატის დახმარებით პრობლემის წამოჭრა, თანამოაზრეების ადვილად მოძიება და ჩართვა. მთლიანობაში უნდა მოხდეს მმართველობითი პროცესების დაჩქარება და საზოგადოებისთვის საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და სასარგებლო ეფექტის პოტენციალის ზრდა.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია ღიაობისა და ანგარიშვალდე ბულებისთვის
			✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
მერიის პორტალში ინტეგრირებული აპლიკაციის შექმნისთვის ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება	ახალი	იანვარი, 2017	მარტი, 2017	
ელექტრონული პეტიციის ვებ-აპლიკაციის შექმნა და დანარჩენ სისტემასთან, ასევე smart map - თან ინტეგრირება (საბოლოო ფორმით ინტეგრირება დამოკიდებულია ელ-სისტემების დასრულების ვადებზე).	ახალი	აპრილი, 2017	ივლისი, 2017	
ელექტრონული პეტიციის მობილური	ახალი	ივლისი, 2017	ივლისი, 2017	

აპლიკაციის შექმნა და და დანარჩენ სისტემასთან ინტეგრირება (საბოლოო ფორმით ინტეგრირება დამოკიდებულია ელ-სისტემების დასრულების ვადებზე).			
სისტემების ტესტირება და მუშა რეჟიმში გაშვება	ახალი	აგვისტო, 2017	ოქტომბერი, 2017
ტრენინგის ჩატარება შესაბამის თანამშრომლებთან პეტიციის მიღება - დამუშავების მიზნით.	ახალი	სექტემბერი, 2017	ოქტომბერი, 2017
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	ახალი	ნოემბერი, 2017	დეკემბერი, 2017
სამართლებრივი კონსულტაციების წარმოება, სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.	ახალი	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017
ინდიკატორი	- შექმნილია, სხვა ელ-სისტემებთან (მაგ. Smart map-თან) ინტეგრირებულია და დანერგილია ვებ და მობილურის აპლიკაციები, რომლებიც სრულად მოიცავენ აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. განხორციელებულია მხარდამჭერი მოქმედებები, ტრენინგები. - სამართლებრივად გაწერილია აპლიკაციის ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები. - მექანიზმის შესახებ ცნობადომის ამაღლებისთვის წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით).		
რისკები და ვარაუდები	შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში;		

ვალდებულება III:
ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

არსებული მდგომარეობით თბილისელებისთვის არ არის მასობრივად ხელმისაწვდომი იმ დოკუმენტის ფორმირების პროცესი, რომელიც ყოველი მომდევნო წლის განმავლობაში განსაზღვრავს თბილისში განსახორციელებელი მმართველობითი საქმიანობის ძირითად შინაარსს. გარდა ამისა, ბიუჯეტის განხილვის პროცესში მოქალაქეები საინფორმაციო საშუალებებით ეცნობიან სხვადასხვა მხარეების ურთიერთსაპირისპირო შეფასებებს საკმაოდ მოცულობით დოკუმენტზე და არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მარტივად, დროის დიდი ხარჯის გარეშე გადაამოწმონ ფაქტობრივი მდგომარეობა.

ამრიგად, მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემის დანერგვის საჭიროება დგება რამდენადაც სასურველია ბიუჯეტის ფორმირებისას თბილისელებისთვის მთელს ამ პროცესზე ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის ერთერთი ყველაზე არსებითი მექანიზმის შექმნა.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

შეიქმნება დანარჩენ ელ-აპლიკაციებთან ინტეგრირებული ელექტრონული პლათფორმა, რომელიც თბილისელებს შესაძლებლობას მისცემს ვიზუალურად წარმოდგენილ თემატურ ბიუჯეტში თითოეულ თემატურ პრიორიტეტზე გადაანაწილონ პირობითი 100 ლარი. თბილისელებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ დაინახონ რომელი პრიორიტეტი რა ქვესაკითხებს მოიცავს და ასევე ექნებათ წვდომა ინფორმაციაზე, თუ წინა წლის/ების ბიუჯეტი როგორ იყო გადანაწილებული. პროგრამა ცალკეული პირების მიერ მონიშნული პრიორიტეტებიდან ავტომატურად გამოიყვანს საშუალო შეწონილ შედეგს. ეს შედეგი განსახილველად სავალდებულო იქნება ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების ნებისმიერ ეტაპზე. ამავე პორტალზე გამოქვეყნდება საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტისა და საზოგადოების მიერ შედგენილი ბიუჯეტის შედარება, დასაბუთდება განსხვავებების მიზეზები. ყველა ზემოთხსენებულ ეტაპზე იარსებებს კომენტარების დატოვების, დისკუსიისა და უშუალოდ მერიისთვის შენიშვნების მოწოდების გრაფები. იარსებებს სტატისტიკის დამთველი ხელსაწყო. ხმის მიცემის პროცესის პარალელურად მერიის სამსახურები და გამგეობები უზრუნველყოფენ მოსახლეობასთან შეხვედრებსა და ხმის მიცემის პროცესის ხელშეწყობას.

სამართლებრივად გაიწერება ვადები და პროცედურები, თუ რა დროიდან იწყება პლათფორმის გახსნა ხმის მიცემისთვის, როდის მთავრდება, რა კვეთაშია ბიუჯეტის შედგენისა და კორექტირების სახელისუფლებო პროცედურებთან, სამართლებრივი ვალდებულება საზოგადოების მიერ შექმნილი შეწონილი ბიუჯეტის განხილვაზე, ამ და საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტის შედარებისა და დასაბუთების სამართლებრივი ჩარჩო. ასევე გაიწერება მოთხოვნები საზოგადოებისთვის აქტიური გაცნობის თუ გამოკითხვის ფორმატზე, გათვალისწინებული იქნება შშმ-პირების, და სხვა მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვა.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

არსებითად ამაღლდება წვდომა ბიუჯეტირების პროცეზე და შეიქმნება ხელისუფლებასთან დიალოგის პრინციპზე დაფუძნებული ჩართულობის მექანიზმი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის თბილისელების საჭიროებებზე ორიენტირებული ბიუჯეტის შექმნის პოტენციალს.

განხორციელების ვადა: 2017 წ.

ვალდებულება 2: ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა				
შემსრულებელი დაწესებულება	თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური, გამგეობები.			
არსებული მდგომარეობის აღწერა	არსებული მდგომარეობით მერიის ბიუჯეტი იგეგმება წინა წლის ბიუჯეტისა და საარჩევნო დაპირებით განსაზრვრული გეგმის შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს დამატებითი კვლევებიც. არ არსებობს ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის რაიმე ეფექტური მექანიზმი ან გაწერილი პროცედურა.			
მთავარი მიზანი	ბიუჯეტის დაგეგმვის მეტად მიახლოვება თბილისელების საჭიროებებთან, ამ კუთხით მათი მმართველობითი ჩართულობის ამაღლების ელექტრონული და პროცედურული მექანიზმების შექმნა, თბილისის ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებასთან ანგარიშვალდებული თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია ღიაობისა და ანგარიშვალდ ებულებისთვის
			✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
ზუსტი ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება თუ რა ფუნქციონალებით უნდა იყოს დატვირთული ბიუჯეტირების ვებ-აპლიკაცია	ახალი	იანვარი, 2017	მაისი, 2017	
აპლიკაციის შინაარსობრივი და პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელება	ახალი	ივნისი, 2017	სექტემბერი, 2017	
სამართლებრივი კონსულტაციების წარმოება, სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.	ახალი	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	

სისტემის ტესტირება და დანერგვა	ახალი	ოქტომბერი, 2017	დეკემბერი, 2017
გამგეობების, საუბნო სამსახურების დატრენინგება.	ახალი	ოქტომბერი, 2017	დეკემბერი, 2017
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	ახალი	ნოემბერი, 2017	დეკემბერი, 2017
ინდიკატორი	- შექმნილია და დანერგილია ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმი. განხორციელებულია მხარდამჭერი მოქმედებები, ტრენინგები. - მექანიზმი სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. - აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად სამართლებრივად გაწერილია ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები. - ჩართულობის მექანიზმის შესახებ ცნობადომის ამაღლებისთვის წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით).		
რისკები და ვარაუდები	ბიუჯეტის შედგენის გარკვეული პროცედურები იწყება ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის ტესტირებისა და დანერგვის დაწყებამდე (რაც ჩვენს შემთხვევაში განსაზღვრულია ოქტომბრის თვით) თვეებით ადრე. შესაბამისად დასანერგი სისტემის ტესტირების ნაწილი ვერ მოიცავს მონაწილეობით ბიუჯეტში ჩართულობისთვის გათვალისწინებულ ყველა პროცედურას.		

ვალდებულება IV:
ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დანერგვა

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

ბიუჯეტის ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვა წარმოადგენს თავად ხელისუფლების ეფექტური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს. არსებული მდგომარეობით ამ ინდიკატორზე დაკვირვების შესაძლებლობა საზოგადოების ფართო ჯგუფს არ აქვს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ საზოგადოებას ბიუჯეტის შესრულება მიეწოდება ყოველი წლის ბოლოს და ისეთ ფორმატში, რომლის ანალიზს დიდი დრო, სპეციალური ცოდნა ან გამოცდილება სჭირდება. ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო ბიუჯეტის შესრულების თვალყურის დევნება საზოგადოებას შესძლებოდა ყოველდღიურ რეჟიმში ისეთი მარტივი ფორმატით, რომელიც ბიუჯეტის შესრულების ანალიზისთვის არ საჭიროებს არანაირ სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას ან დიდ დროს.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

თბილისის მერიის საფინანსო სამსახურისთვის საჭიროა სპეციალური პროგრამა, რომელიც, პირველ რიგში, სამსახურს გაუადვილებს მუშაობას. შეიქმნება და აღნიშნულ პროგრამას მიებმება საჯარო ელექტრონული ფორმატი, რომელიც ვიზუალურად აჩვენებს არაუმცირეს ბიუჯეტის კონკრეტულ პრიორიტეტებში, კოდებში მიმდინარე ხარჯვას, მასთან დაკავშირებულ პარამეტრებს; ფორმატი სტატისტიკისა და სხვა ხელსაწყოების საშუალებით შესაძლებლობელს გახდის მომხმარებელმა მოახდინოს ინფორმაციის ცალკეული საკითხების მიხედვით რანჟირება, ხარჯვაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მოპოვება და სრული ან კონკრეტული მონაცემების ოფიციალური ფორმატით ამობეჭდვა, კონკრეტული თარიღისა და კოდის მინიჭებით.

ფორმატი გაითვალისწინებს ხარჯვესთან დაკავშირებით მოქალაქეების მიერ ინფორმაციის საჯაროდ დაფიქსირებისა და უშუალოდ მერიის შესაბამისი უწყების საქმის კურსში ჩაყენების ავტომატურ ფორმატს პირის მხრიდან ვინაობის მითითებით ან მის გარეშე. ინფორმაცია დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, მისი შეჯამება და განხორციელებული რეაგირებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია გამოიტანება საჯაროდ.

გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო მონიტორთა ჯგუფების რეგისტრაციისა და საქმიანობის პირობები. თბილისელებს (ასევე ორგანიზაციებს) შეეძლებათ აწარმოონ ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი. ამისთვის მათ მოუწევთ სამოქალაქო მონიტორთა ჯგუფში რეგისტრაცია, გადაეცემათ ნიშნები, რომლებიც ღონისძიებებზე და სხვა აქტიწობებზე თუ გარკვეული ტიპის ინფორმაციაზე მათ სწრაფ წვდომას უზრუნველყოფს. მიღებულ მიგნებებს გაუზიარებენ მერიას. ინფორმაცია დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, მისი შეჯამება და განხორციელებული რეაგირებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია გამოიტანება საჯაროდ.

სამართლებრივად გაიწერება აღნიშნული პროცედურების სავალდებულობა, პირობები და ფორმატები.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

თბილისელებს შესაძლებლობა ექნებათ ინტერაქტიულ ფორმატში გაეცნონ ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯვას. ინფორმაციის ყოველდღიურ ავტომატურ რეჟიმში გასაჯაროება და ვიზუალიზაცია ვებ გვერდზე, ასევე დამატებითი სტატისტიკისა და სხვა ელ-ხელსაწყოები მოქალაქეებს მაქსიმალურად უმარტივებენ ბიჯეტის ხარჯვის აღქმადობას და ანალიზს. ეს ქმნის პოტენციალს რაც შეიძლება მეტი ადამიანი ყოველგვარი სპეციალური გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის გარეშე იყოს დაინტერესებული და სრულყოფილად ინფორმირებული ქალაქის სახსრების ხარჯვაზე. ასეთი მექანიზმი და ინფორმირებულობა:

- გარკვეულწილად ამცირებს კორუფციისა თუ არამიზმობრივი ხარჯვების რისკებს, ქმნის ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის წინაპირობას და შესაბამისად მმართველობითი რესურსების საზოგადოებრივი საჭიროებებისკენ მეტად მიმართვის წინაპირობას;
- ამაღლებს მოქალაქეების მხრიდან ხელისუფლების შეფასებას კონკრეტულ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით და შესაბამისად ხელს უწყობს დემოკრატიულ პროცესებს, არჩევნებისას და მმართველობის პროცესში. გრძელვადიანად, რეალურ მონაცემებზე დამყარებული და არა პერფომანსული პოლიტიკური კონკურენცია აიძულებს ხელისუფლებებს მაქსიმალურად ორიენტირდნენ საზოგადოებრივ საჭიროებებზე.

განხორციელების ვადა: 2017 წ.

ვალდებულება 3: ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დანერგვა	
შემსრულებელი დაწესებულება	თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური.
არსებული მდგომარეობის აღწერა	ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებას ანგარიში ბარდება წელიწადში ერთხელ, მერიის წლიური ანგარიშის სახით, თბილისის საკრებულოს კი ყოველ კვარტალში. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გამოითხოვოს ინფორმაცია და მიიღოს მონაცემები არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. თუმცა საფინანსო სამსახურსა და დაქვემდებარებულ სუბიექტებს მუშაობა უწევთ ცალკეულ ექსელის ფაილებში და არ გააჩნიათ ერთიანი პროგრამა რომელიც არსებითად დააჩქარებდა პროცესებს და ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გაცილებით უკეთეს ანალიზს როგორც მერიის შიდა ისე გარე მოხმარებისთვის.
მთავარი მიზანი	მარტივად გამოყენებად ფორმატში ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული ყოველდღიური გასაჯაროება, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას ყოველწლიურის ნაცვლად ყოველდღიურ რეჟიმში. ანგარიშვალდებულების, საზოგადოებრივი კონტროლისა და ჩართულობის ინტერაქტიული მექანიზმების შექმნა, რომელიც ადვილად ინფორმაციაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობით, ასევე ამაღლებს საზოოგადოების ჩართულობას.

OGP პრინციპები	გამჭვირვალობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია ღიაობისა და ანგარიშვალდებულებისთვის
	✓		✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურში ფინანსების მართვისა და ანალიზის ელექტრონული სისტემის დანერგვა და მასთან შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული გასაჯაროების ელექტრონული პორტალის დაზუსტებული ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება.	ახალი	იანვარი, 2017	ივნისი, 2017	
პორტალის პროგრამული და შინაარსობრივი ნაწილის შექმნა. ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიულ სისტემაში შექმნილი და დამუშავებული მონაცემების მოქალაქის მხარეს გამოტანის მექანიზმის შექმნა (ელ-პორტალზე განთავსების ფუნქცია).	ახალი	ივლისი, 2017	ოქტომბერი, 2017	
პორტალის პილოტირება და დანერგვა	ახალი	ოქტომბერი, 2017	დეკემბერი, 2017	
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	ახალი	ნოემბერი, 2017	დეკემბერი, 2017	
სამართლებრივი კონსულტაციების წარმოება, სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.	ახალი	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	
ინდიკატორი	- შექმნილია და დანერგილია ელ-პორტალი, სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. - შექმნილია პორტალთან ინტეგრირებული, საზოგადოებრივ მონიტორთა ჩართულობის ფორმატი. - სამართლებრივად გაწერილია პორტალის ფუნქციონირებისა და			

	საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის მხარდამჭერი რეგულაციები. - მექანიზმის შესახებ ცნობადომის ამაღლებისთვის წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით).
რისკები და ვარაუდები	- შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში; - სამოქალაქო მონიტორინგის ფორმატი დაიტესტება შეზღუდულ ვადებში, შესაბამისად პილოტირება ვერ მოიცავს აღნიშნული მექანიზმის ყველა პროცედურას, მაგალითად ტვარტლურ პერიოდზე მიბმულ პროცედურებს და სხვა.

ვალდებულება V:
სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

თბილისის მერიის სისტემაში არსებულ სერვისებზე სამოქალაქო კონტროლოსა და მეტი ხელმისაწვდომობის შესახებ მოთხოვნა, (ისევე როგორც ბიუჯეტის ხარჯვაზე მონიტორინგის მოთხოვნა მოქალაქეების მხრიდან) არაერთხელ დადგა საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობისას. სხვადასხვა საზოგადოებრივმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი მონიტორინგის პროცესში ჩართულიყო მოხალისედ. განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ადამიანები მოითხოვდნენ მათთვის მერიის მიერ დაფინანსებულ სერვისებზე მონიტორინგის უფლების მინიჭებას. მაგალითად, მოთხოვნილი იყო სოციალურად დაუცველები ჩართულიყვნენ მათთვის გახსნილი უფასო სასადილოების მომსახურებისა (რაც მერიის მიერ ტენდერის საფუძველზე დაკონტრაქტებული მესამე პირების მიერ ხორციელდება) და საქმიანობის მონიტორინგში. შეხვედრებისას, ასევე, კიდევ ერთხელ, გამოვლინდა და დადასტურდა მერიის სერვისების არსებითად დაბალი ცნობადობა საზოგადოებაში, რაც თავისთავად ხელს უშლის ამ სერვისებით სათანადო სარგებლობას.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია დავიწყოთ ერთი მხრივ საზოგადოებისთვის მერიის სერვისების ხელმისაწვდომობის ამაღლება და მეორე მხრივ შევქმნათ სერვისებისა და

მათი მიმწოდებლების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი, რათა მაქსიმალურად შევზღუდოთ მერიაში დასაქმებული 25 000 პირისა და ქვეკონტრაქტორების მხრიდან რაიმე გადაცდომები მომსახურების მიწოდების ყველა, განსაკუთრებით კი ქვედა რგოლზე.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

ბიუჯეტის ხარჯვის სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის ანალოგიურად შეიქმნება მერიის სისტემაში არსებულ სერვისებზე, სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი, რომელიც პროცედურულად, სამართლებრივად და ტექნიკურად ინტეგრირებული იქნება ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული დანარჩენი ვალდებულებების ფორმატთან.

ვალდებულება გულისხმობს სამოქალაქო მონიტორთა ჯგუფებისთვის მერიის სერვისებზე გარკვეული ტიპის კონტროლის უფლებების მინიჭებას. მათთვის მონიტორად რეგისტრაციისა და საქმიანობის პირობების გაწერას. პირობების გაწერას, რომლის ფარგლებშიც თბილისელებს (ასევე ორგანიზაციებს) შეეძლებათ აწარმოონ სერვისების მიწოდების მონიტორინგი. ამისთვის მათ მოუწევთ სამოქალაქო მონიტორთა ჯგუფში რეგისტრაცია, გადაეცემათ სპეციალური ნიშნები, რომლებიც სერვისებზე და სხვა მსგავსი ფუნქციის აქტივობებზე, გარკვეული ტიპის ინფორმაციაზე მათ სწრაფ წვდომას, ადგილზე დათვალიერებისა და სხვა მსგავს უფლებებს უზრუნველყოფს. მიღებულ მიგნებებს მონიტორინგის ჯგუფები გაუზიარებენ მერიას. ინფორმაცია დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, მისი შეჯამება, განხორციელებული რეაგირებების შესახებ ინფორმაცია ან/და მიღებული შენიშვნების არ გაზიარების შესახებ დასაბუთება გამოიტანება საჯაროდ.

დამატებითი მხარდამჭერი საშუალების სახით, ასევე შეიქმნება ინტეგრირებული ვებ-აპლიკაცია, რომლითაც ონლაინ ხელმისაწვდომი გახდება მერიის სისტემის ფარგლებში არსებული ყველაზე მოთხოვნადი სერვისები. პირველ ეტაპზე, 2017 წლისთვის, მოხდება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურების მიმართულებებით (11 ზოგადი სახეობის მომსახურება, რომლებიც მომსახურების სხვადასხვა ტიპს მოიცავენ) მომსახურების ვებ აპლიკაციაში სრულიად განთავსება. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრების მიმართულებით, საზოგადოებისთვის მერიის სისტემაში კონკრეტულ სფეროებში არსებულ მომსახურებებზე სრული ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის არსებითი გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვებ-აპლიკაცია საშუალებას მისცემს მოქალაქეს შექმნას თავისი ონლაინ ანგარიში, მუნიციპალიტეტში მოუსვლელად მიიღოს სერვისები და მართოს თავისი ინფორმაცია. წვდომა შესაძლებელი იქნება მობილურის აპლიკაციითაც.

ფორმატი გაითვალისწინებს სერვისებთან დაკავშირებით მოქალაქეების მიერ ინფორმაციის დაფიქსირების შესაძლებლობას. ინფორმაცია დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, მისი

შეჯამება, განხორციელებული რეაგირებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია ან/და მიღებული შენიშვნების არ გაზიარების შესახებ დასაბუთება გამოიტანება საჯაროდ.

სამართლებრივად გაიწერება პროცედურები აღნიშნული მექანიზმის მხარდასაჭერად.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

- ჩამოთვლილ კონკრეტულ სეგმენტებში არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ცნობადობის არსებითი ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სერვისებით მარტივ, სრულყოფილ სარგებლობას და გარკვეულწილად გააუმჯობესებს მოქალაქის ცხოვრების დონეს. სრულყოფილი ინფორმირებულობა ასევე შექმნის დამატებით საფუძველს უფრო ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგისა და ჩართულობის განსახორციელებლად;

- სერვისების მონიტორინგის მექანიზმი მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას ბოლომდე მიჰყვეს და შეცვალოს სევისული პრობლემები, თავად იზრუნოს არსებული პირობების გაუმჯობესებაზე, რომლებიც მასზე და სხვა ადამიანებზე ახდენენ ზეგავლენას და მიიღოს შესაბამისი საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგები.

განხორციელების ვადა: 2017 წ.

ვალდებულება 4: სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა				
შემსრულებელი დაწესებულება	ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური, მერიის სამიზნე სამსახურები, რომლებიც ახორციელებენ ვალდებულების თემატურ ფუნქციონალებთან დაკავშირებულ საქმიანობას (პირველ რიგში: ჯანმრთელობისა და საოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური).			
არსებული მდგომარეობის აღწერა	სერვისების კონტროლის საზოგადოებრივი მექანიზმები არ არსებობს. სერვისების ვებ აპლიკაცია არსებობს მხოლოდ არქიტექტურის, ნაწილობრივ ქონების მართვისა და ასევე ნაწილობრივ საბავშვო ბაღებში რეგისტრაციის საკითხებზე. თუმცა ეს სერვისები არ არის ჰარმონიზებული.			
მთავარი მიზანი	თბილისის მერიის სისტემაში მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდების გამარტივება და ანგარიშვალდებულების, საზოგადოებრივი კონტროლისა და ჩართულობის ინტერაქტიული მექანიზმების შექმნა.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია ღიაობისა და ანგარიშვალდე ბულებისთვის

			✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
საზოგადოებრივ მონიტორთა რეგისტრაციის ელ-ხელსაწყოს ფორმატის შეთანხმება, შექმნა და მისი ინტეგრირება ერთიან ელექტრონულ პორტალთან.	ახალი	იანვარი, 2017	სექტემბერი, 2017	
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეობის საქალაქო სამსახურში და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში ასრებული საქმის წაროემბის ბიზნეს პროცესების აღწერა - დოკუმენტირება	ახალი	იანვარი, 2017	თებერვალი, 2017	
განცხადების სახეობების რანგირება და მოძრაობების (დამუშავების) განსაზღვრა. შიდა ბიზნეს პროცესების დამუშავების პანელი - თანამშრომლის გვერდი.	ახალი	მარტი, 2017	მაისი, 2017	
ერთიანი სერვისების საჯარო პლატფორმის შექმნა. მუნიციპალიტეტში მოქალაქის პირადი გვერდის (რომელიც ასევე ინტეგრირებულია სხვა ვალდებულებებით გათვალისწინებულ ფუნქციონალებთან). მათი დანერგვა.	ახალი	ივნისი, 2017	სექტემბერი, 2017	
სისტემის, ასევე საზოგადოებრივ მონიტორთა ელ-ხელსაწყოს ტესტირება და მუშა რეჟიმში გაშვება	ახალი	სექტემბერი, 2017	დეკემბერი, 2017	
საზოგადოებრივი მონიტორების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეობის საქალაქო სამსახურის და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება სისტემის გამოყენების მიზნით.	ახალი	ოქტომბერი, 2017	ნოემბერი, 2017	
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	ახალი	ნოემბერი, 2017	დეკემბერი, 2017	
სამართლებრივი კონსულტაციების წარმოება, სისტემის მხარდამჭერი	ახალი	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	

სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.			
ინდიკატორი	- შექმნილია და დანერგილია ელ-პორტალი, სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. - შექმნილია პორტალთან ინტეგრირებული, საზოგადოებრივ მონიტორთა ჩართულობის ფორმატი. - სამართლებრივად გაწერილია პორტალის ფუნქციონირებისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის მხარდამჭერი რეგულაციები. - მექანიზმის შესახებ ცნობადომის ამაღლებისთვის წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით).		
რისკები და ვარაუდები	- შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში; - სისტემა დაიტესტება შეზღუდულ ვადებში (სავარაუდოდ ნოემბერი/დეკემბერი), შესაბამისად პილოტირების პროცესი გაგრძელდება მომავალშიც. - სამოქალაქო მონიტორინგის ფორმატი დაიტესტება შეზღუდულ ვადებში, შესაბამისად პილოტირება ვერ მოიცავს აღნიშნული მექანიზმის ყველა პროცედურას, მაგალითად ტვარტლურ პერიოდზე მიბმულ პროცედურებს და სხვა; - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ადამიანური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის რესურსი.		

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები და სტრუქტურული ერთეულები

1. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური;
3. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური;
4. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;
5. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განწვანების საქალაქო სამსახური;
6. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;
7. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური;
8. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური;

9. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახური;
10. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობები.